ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 246 (9407) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში



# ანგარიშგება

დადგა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის წლიური ანგარიშების დაჯამებისა და სტატისტიკური ანგარიშების შედგენის პერიოდი. წლევანდელი ანგარიშგება განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა იმითაც, რომ მასში თავისებურად უნდა აისახოს გარდაქმნებთან დაკავშირებული მუშაობის შედეგები. დასამალი არ არის, რომ სტატისტიკა ყოველთვის არ ასახავდა რეალურ ვითარებას. ბოლო წლებში საქართველოს სპორტსაზკომის მიერ ჩვენს სფეროში გაწეული საქმიანობის ობიექტურმა, კრიტიკულმა შეფასებამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ხშირად საქმე გვაქვს არა სინამდვილესთან, არამედ სურვილთან.

ანგარიშგება, როგორც წესი, ფიზკულტურული კოლექტივებიდან იწყება და ეტაპობრივად მთელ ჩვენს სფეროს მოიცავს. წარსულში დაშვებული შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს. ეს პრინციპული საკითხია. როცა ხელოვნურად ვზრდით ფიზკულტურელთა, ნიშნოსანთა, სპორტსმენთა და საზოგადოებრივი კადრების რიცხობრივ მაჩვენებლებს, ეს მომაკვდინებლად მოქმედებს ცოცხალ საქმეზე. წელს ანგარიშგება მნიშვნელოვანი ცვლილებებით ჩატარდება. სპორტსახკომმა ახლახან სავანგებო თათბირ-სამინარიც ჩაატარა ამ საკითხთან დაკავშირებით.

სტატისტიკური ანგარიშების რეალურ ციფრებზე დაყრდნობით შედგენაზე მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივმა კომიტეტებმა. შრომითი კოლექტივების, სასწავლებლების, ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირების ადგილკომებმა არ უნდა დაუშვან ყალბი ციფრების დამოწმება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ სიახლეს — სტატისტიკურ ანგარიშში წლეულს პირველად შედის მოსახლეობის ფასიანი მომსახურების შედეგები.

ფიზკულტურასა და სპორტში გაწეული მუშაობის ანგარიშგება მნიშვნელოვანი კამპანიაა და იგი მაღალ ორგანიზატორულ დონეზე უნდა ჩავატაროთ.

## კიდევ ერთი ნაბიჯი მიზნისკენ

თბილისი. სპორტის სასახლე. 23 დეკემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 84:72 (45:29).

„დინამო": სანაძე (24), ტიუბინი (20), ბოროდაჩოვი (16), დარსაძე (15), ოპოშნიანი (6), კაპუსტინი (2), გიორგობიანი (1), ფერიაშვილი.

„სტროიტელი": სილვესტროვი (16), შაპტალა (13), რიჟოვი (11), კოვალიანკო (9), პოდკოვიროვი (9), ბონდარენკო (4), რეზცოვი (4), კოსენკო (2), ხომენკო (2), ვოროტნიკი (2), კოლეჩუკი.

მსაჯები: ვ. ხუურკასკი (ტალინი) და რ. ხალმუხამედოვი (ტაშკენტი).

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის პირველ დღეს პირველი გამარჯვება იზეიმეს ტურნირის მასპინძლებმა, თბილისის დინამოელებმა. კიევის „სტროიტელთან" შეხვედრის დამთავრების შემდეგ სპორტის სასახლის მაყურებლით სავსე ტრიბუნებს ოვაცია მოსწყდა — გულშემატკივარი ტაშით აცილებდა საყვარელ გუნდს, რომელმაც ძნელ ბრძოლაში სძლია თავის უშუალო კონკურენტს.

ამ მატჩის ყველაზე შთამბეჭდავი, საინტერესო და ამავე დროს გადამწყვეტი მონაკვეთი იყო პირველი ექვსი წუთი. თბილისელებმა დებიუტშივე თავბრუდამხვევი ტემპით და კალათში ზუსტი სროლებით გააბრუეს მეტოქე. ჯერ დარსაძემ ტყორცნა ზუსტად სამქულიანი ზონიდან, შემდეგ სანაძემ მოუტანა გუნდს ოთხი ქულა, ბოლოს ტიუბინმაც გამოიჩინა თავი და ანგარიში გახდა 9:0. ასეთი უპირატესობა თანაბარი კლასის გუნდების შეხვედრაში ბევრს ნიშნავს. ერთ მომენტში კიეველები

იხ. გვ-3 გვ.

## ახალგაზრდებს ჭიდაობა უნდა შევაყვაროთ



საქართველოს სპორტსახკომმა ჭიდაობის სამმართველოს უფროსად დანიშნა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გურამ რატიშვილი.

გურამ რატიშვილი დაიბადა 1935 წელს. დაამთავრა მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ფიზკულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტი. 1969 წელს დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქ. ფრუნზეს ახალგაზრდობის სპორტსკოლაში თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელად, ფიზიკური კულტურის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჭიდაობის კათედრის დოცენტი და ამავე ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის გამგე.

◉ ჭიდაობა საქართველოში სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა და ამ სამმართველოს უფროსს, ბუნებრივია, საქმე ბევრი ექნება.

— საქმის არ გვეშინია. სურვილი, რწმენა და მონდომება დაგვეხმარება.

◉ როგორ ფიქრობთ, რა მდგომარეობაა დღეს სპორტის ამ სახეობაში რესპუბლიკის მასშტაბით?

იხ. გვ-4 გვ.

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

## ლანჩხუთის „გურია"



სპორტში, კერძოდ, ფეხბურთში ხშირად ხდება მოულოდნელობანი.

აი, თუნდაც, ლანჩხუთის „გურია". რა თქმა უნდა, მისი წლევანდელი შესანიშნავი წარმატებები და უმაღლეს ლიგაში ადგილის განაღდება ნამდვილი, ასპროცენტიანი საოცრებაა. სხვა შეფასებას ვერც გამოიტან, მაგრამ თუ ღრმად ჩავიხედავთ საქმეში და გუნდის პოტენციურ შესაძლებლობებსაც გულდასმით გავშიფრავთ, დავრწმუნდებით, რომ ამ საოცარ მოულოდნელობას თავისი კანონზომიერებანი და გასამართლებელი ფაქტორები გააჩნია.

საოცრება ისაა, რომ საბჭოთა ფეხბურთის 50-წლიან ისტორიაში უმაღლეს ლიგაში ჯერ არ უთამაშია პატარა რაიონული ცენტრის გუნდს, სადაც სულ რაღაც რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი ცხოვრობს. უმაღლესი ლიგის ფეხბურთზე ოცნებობენ გიგანტი ქალაქები, აქ კი „საქმეში ერევა" სარაიონო ცენტრი, რომლის მოსახლეობა დიდიან-პატარიანად თანამედროვე ტიპის სტადიონს, ალბათ, სანახევროდაც ვერ შეავსებს...

მაგრამ ფეხბურთს ქალაქები კი არ თამაშობენ, არამედ ფეხბურთელები. აქ კი „გურიას" ის უპირატესობა აქვს თავის რეალურ თუ არარეალურ მეტოქეებთან, რომ მის შემადგენლობაში ტყავის ბურთის ნამდვილი ოსტატები გამოდიან.

გადავხედოთ ფეხბურთის ისტორიას, გავიხსენოთ ურუგვაი. მეცხოველეთა და მეჯოგეთა ამ პატარა ქვეყანაში სულ რაღაც 3 მილიონამდე მაცხოვრებელი იყო, როდესაც მან პირველი დაამხო უდიდესი საფეხბურთო გრანდები, ევროპის სახელმწიფოები და ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი!

ეტყობა, საფეხბურთო საოცრებანი მაინც არის. როცა ლანჩხუთის „გურიის" ლოცავს ვადგენდით ხელთ მოგვხვდა 1979 წელს „ფუტბოლ-ჰოკეიში" გამოქვეყნებული ბენიამინ ზელკაევისეული მოხსრებილი წერილი. ეს ის წელ

იხ. გვ-3 გვ.

## შოთა ოქროპირაშვილი ქუთაისის „ტორპედოს" უფროსი მწვრთნელი

ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნულია ამავე კლუბის ყოფილი წევრი, სპორტის ოსტატი შოთა ალექსანდრეს ძე ოქროპირაშვილი.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

შაბათს, 27 დეკემბერს, 17 საათზე თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის დიდმის სავვრთნელ ბაზაზე მოეწყობა ჟურნალისტების შეხვედრა „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივის ხელმძღვანელობასთან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციას. ტელ. 93-97-50.

ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობის მწვერვალებზე მოეწყო თბილისის „ბურევესტნიკის" ტრადიციული ალპინიადა, რომელიც საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობას მიეძღვნა. ბევრი ახალგაზრდა ეზიარა მთამსვლელობას და ნიშნოსანი ალპინისტიც გახდა, თანრიგოსნებმა კი კვალიფიკაცია აიმაღლეს.

ამ სურათზე, რომელიც მწვერვალ რუსთავის მისადგომებთანაა გადაღებული, „ბურევესტნიკელ" მთამსვლელთა ბანაკია აღბეჭდილი.

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.



იხ. გვ-2 ზემოდ.

## საქართველოს პირველობა ხელბურთში



**დამთავრდა** საქართველოს 1986 წლის ჩემპიონატი ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრება, რომელმაც სტარტი ჯერ კიდევ მარტში აიღო, ორ ზონად, მიმოსვლით ჩატარდა. თავიანთ ზონებში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსულ გუნდებს (დასავლეთის ზონაში — აჭარა და ქუთაისი, აღმოსავლეთის ზონაში — სამხრეთ ოსეთი და ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის გუნდები) შეუერთდა თბილისის ორი გუნდი (ფიზიკური კულტურისა და ზოოვეტერინარული ინსტიტუტები) და ამ კოლექტივებმა ამასწინათ თბილისში იბრძოლეს რესპუბლიკის ჩემპიონობისთვის.

პირველ ადგილზე, შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდი გავიდა, მეორე ადგილი ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის გუნდმა დაისაკუთრა, რომელმაც ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა III ადგილზე გასულ სამხრეთ ოსეთის გუნდს. მომდევნო ადგილებზე არიან ზოოვეტერინარული ინსტიტუტის, აჭარისა და ქუთაისის გუნდები.

მაშ ასე, შეჯიბრება დამთავრდა, გამარჯვებულნი გამოვლინდნენ, მაგრამ შეასრულა თუ არა ასპარეზობამ თავისი დანიშნულება, გასცა თუ არა პასუხი იმ საჭირბოროტო კითხვებს დღეს ქართული ხელბურთის წინაშე რომ დგას?

პირდაპირ უნდა ითქვას — არა! ჩემპიონატში მოწვეული სპორტსმენები — 20-25 წლის ასაკის სპორტსმენები უნდა მონაწილეობდნენ, სინამდვილეში კი რა ხდება? გადავხედოთ გუნდების შემადგენლობას: ექვსიდან სამი გუნდი — ფიზკულტურის ინსტიტუტის, ზოოვეტის და სამხრეთ ოსეთისა დაკომპლექტებული იყო მამაკაცებით, ქუთაისისა და აჭარის გუნდები კი ფაქტიურად ბავშვებით.

## თავი და თავი სპორტული სკოლაა!

როდესაც მწვრთნელებს ვკითხეთ, თუ რატომ ჩამოიყვანეს მოზრდილების პირველობაზე ბავშვები, გვიპასუხეს: ჩვენთან მხოლოდ ბავშვთა ჯგუფი ფუნქციონირებს და აბა რა გვექნაო. ჩვენ „ლელოში" უკვე ვწერდით, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ ოსტატთა გუნდებში ვერ ხვდებიან, ადგილებზე უნდა რჩებოდნენ და სისტემატური წვრთნითა და შეჯიბრებებში მონაწილეობით იმაღლებდნენ თავიან ოსტატობას, მაგრამ ასეთი რეზერვი ჩვენთან ფაქტიურად არც ერთ ქალაქში არ არის. თუ ამ საქმეს არ მივხედეთ, სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

მწვრთნელებთან საუბარში კიდევ ერთი რამ გაირკვა. სამხრეთ ოსეთში თურმე ბავშვთა მხოლოდ ექვსი ჯგუფია გახსნილი (სამი გოგონების და ამდენივე ვაჟების), ქუთაისში — ათი (ხუთი გოგონების და ხუთი ვაჟების). ასეთივე მდგომარეობაა აჭარასა და აფხაზეთში. ცხადია, ეს ძალზე დამაფიქრებელია. აქ ალბათ, განათლების სამინისტრო იტყვის თავის სიტყვას.

ჩვენ არაერთხელ დავსვით საკითხი, რომ დადგა დრო სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში გაიხსნას ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლები. ბევრმა შეიძლება სპეციალისტების უკმარისობა მოიმიზეზოს და ასეთი სკოლების გახსნა შეუძლებლად მიიჩნიოს. გვერწმუნეთ, ზემოთ დასახელებულ ქალაქებში უმაღლესი განათლების მქონე 8-10 ხელბურთის სპეციალისტი მაინც გვყავს, მაგრამ ვიყენებთ კი მათ?..

სამხრეთ ოსეთის გუნდის ერთ-ერთმა წევრმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა თამაზ გაგლოევმა შემოგვჩივლა, ორი წელი მუშად ვიმუშავე, რადგან ჩვენს ქალაქში ხელბურთის სექცია არ არსებობდაო.

როცა აჭარის გუნდის მოთამაშე მწვრთნელს ბ. სიხარულიძეს ვუსაყვედურეთ, ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაზე ბავშვები რატომ ჩამოიყვანეთო, გვიპასუხა: ეს რომ მოვახერხე, ესეც დიდი საქმეა. არავინ გვაქცევს ყურადღებას, არავინ გვეხმარება და ჩვენს მუშაობას აბა რა აზრი აქვსო.

სპეციალიზებული სპორტული სკოლების გარეშე შორს ვერ წავალთ, რადგან სწორედ ასეთი სკოლები აძლევენ სპორტის ამა თუ იმ სახეობას სწორ მიმართულებას.

**ბურამ ძაგანია,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი.**

## ფიქრები ცხამაღლა

# დღესასწაულად რომ იქცეს

- სეზონი, რომელმაც იმედი გაგვიცრუა
- წლიდან წლამდე ერთი და იგივე შეცდომები მეორდება
- შეჯიბრებები ტარდება, გამარჯვებული არ ვლინდება
- რატომ ჩქმალავენ ნაკლოვანებებს?

**დამთავრდა მიმდინარე წლისთვის დაგეგმილი ყველა საკავშირო და რესპუბლიკური შეჯიბრება ფრენბურთში. ახლა სტარტზეა საბჭოთა კავშირის მორიგი, 49-ე ჩემპიონატი.**

სამწუხაროდ, წლევანდელმა სეზონმა გული დაწყვიტა ჩვენს გულშემატკივრებს. ახალ სეზონში პირველად არ გვეყოლება წარმომადგენელი ქალთა საკავშირო ჩემპიონატში, რადგან ჩვენმა გუნდმა ვერ დაძლია შესარჩევი ტურნირის სირთულეები და დაკარგა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება. ხოლო ჩვენი ვაჟთა გუნდი 21-ე ადგილით დაკმაყოფილდა. საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე ფრენბურთელებმა ჩვენი სპორტული დელეგაციის ქულათა საერთო მარაგს ვერაფერი შემატეს. არც ჭაბუკთა და ქალიშვილთა საკავშირო შეჯიბრებების ფინალურ ეტაპებზე გამოსულან საქართველოს წარმომადგენლები. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფრენბურთის რესპუბლიკური ფედერაციისა და სპორტსახკომის სპორტული თამაშების სამმართველოს მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

დღეს, ახალი სეზონის წინ, მე მინდა გაგიზიაროთ ჩემი შეხედულებები რესპუბლიკურ შეჯიბრებათა დაგეგმვისა და ჩატარების შესახებ.

ავიღოთ 1986 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, შეიძლება გამოვიყენოთ შარშანდელიც, ჩემი აზრით სულერთია, რადგან როგორც წესი, წლიდან წლამდე ერთი და იგივე შეცდომები მეორდება. ტურნირების ჩატარების ვადები და მონაწილეთა ასაკი არ შეესაბამება დებულებით გათვალისწინებულს. დიდი ხანია არ იგეგმება ისეთი შეჯიბრებები, როგორიცაა საქართველოს თასის გათამაშება, სარაიონო პირველობა. შეჯიბრებათა დიდი ნაწილი ტარდება წლის ბოლოს და თანაც ერთი და იმავე ქალაქებში. მაგალითად, მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში გეგმის მიხედვით 8 ტურნირი ჩატარდა, აქედან ოთხი — ბათუმში გაიმართა. იმასაც თუ ვიტყვით, რომ ტურნირები სტუდენტური უნივერსიადის, საბჭოთა კავშირის თასისა და საკავშირო შესარჩევი ტურნირების პარალელურად მიმდინარეობდა, კომენტარის გაკეთება აღარ დაგვჭირდება.

სპორტული შეჯიბრება ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა. შეჯიბრებამ ბევრი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ პირველ ყოვლისა, იგი უნდა იყოს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაგრძელება. ჩვენთან კი რა ხდება? გუნდების უმრავლესობამ რესპუბლიკის ჩემპიონატისთვის, რომელიც 13-18 ნოემბერს ბათუმში ჩატარდა, მზადება დაიწყო სტარტამდე ერთი-ორი კვირით ადრე. შედეგიც შესაფერისი მივიღეთ: თბილისის სპორტსკოლის 1971-1972 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდმა უკან ჩამოიტოვა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავისა და თელავის მოზრდილთა კოლექტივები და საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. იბადება კითხვა, ვის სჭირდება ასეთი შეჯიბრება, რომელშიც მოუმზადებელი გუნდები გამოდიან.

**აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ წლის ბოლოს გამართულ სამ რესპუბლიკურ ტურნირში საერთოდ არ გამოვლინებულა გამარჯვებული. ერთხელ „დაავიწყდათ" გაეფრთხილებიათ თბილისის ქალთა გუნდი, რათა მას ტურნირში მონაწილეობა მიეღო, ორჯერ ფიქტიური ოქმი შეადგინეს და ვალი ამით მოიხადეს—ვითომ თამაში ჩატარდა.** სად იყო მსაჯთა კოლეგია, ან რატომ დაუშვა ეს უმსგავსოება, შემდეგ კი დაფარა შეჯიბრებაზე სპეციალურად მივლინებულმა სპორტსახკომის წარმომადგენელმა.

ვფიქრობ დროა აღვადგინოთ მივიწყებული ტრადიცია: სტუმრად ჩამოსულ შეჯიბრების მონაწილეებს სადგურში ყვავილებით შევხვდეთ, ჯგუფებს საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენლები მივამაგროთ, მათთვის ექსკურსიები მოვაწყოთ და ასე შემდეგ.

ადრე ნებისმიერი შეჯიბრება დღესასწაული იყო, როგორც სპორტსმენებისთვის, ისე მაყურებლებისთვის, ასე უნდა იყოს ახლაც. ამისათვის საჭიროა ყველა ტურნირი მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩატარდეს.

**ედუარდ სანთელაძე,**
**მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.**

## ახალ მწვერვალებზე ასვლის იმედით

**მთა** სტუმრებს ყოველთვის მოყვრულად არ ხვდება — ზოგჯერ ახლოსაც არ მიიკარებს ისე გამოისტუმრებს უკან, ზღაპრული მზეთუნახავივით თავს არავის აჩვენებს. ცუდი ამინდი დახვდა ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობაში ასულ ბურევესტნიკელებს. ალპინიადის მონაწილეები ინსტრუქტორის, სამთო მექანიკის ინსტიტუტის ინჟინრის შოთა ელისაშვილის ხელმძღვანელობით ხდის ხეობის მისადგომებთან დაბანაკდნენ.

როგორც მოხევეები იტყვიან, ცამ პირი შეკრა და ორი დღის განმავლობაში თოვდა. თოვლმა დაფარა მოლაშქრეთა ბანაკი. კარვებში უქმად ეკიდა ფოტომოყვარულთა აპარატები.

მთის ზნე-ჩვეულება მთიელზე უკეთ, აბა, ვინ იცის და მწყემსებმა დაგვაიმედეს, ორ-სამ დღეში გამოიდარებს და კარგა ხანს აღარ გაავდრდებაო. ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ, როგორც ჩვენ მათი ნათქვამი აგვიხდა.

ყოველდღიურად მიმდინარეობდა მონაწილეთა ფიზიკური და ტექნიკური მომზადების შემოწმება. დილის ათ საათზე იწყებოდა ვარჯიშები მეკლდეურობაში, თოვლის ხმარებაში... ახალბედებს თვითონ შოთა ელისაშვილი და ალპინიადის სასწავლო ნაწილის უფროსი, უნივერსიტეტის ნახევარგამტართა ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი დ. ბაიდაური ავარჯიშებდნენ. ნიშნოსნები და თანრიგოსნები ყაზბეგის რაიონის სამაშველო სამსახურის ინსტრუქტორის ზ. სუჯაშვილისა და პირველთანრიგოსნების: ვ. აბაიშვილის, თ. წიკლაურისა და გ. დვალის ხელმძღვანელობით ხვეწდნენ ტექნიკას, მზის ჩასვლამდე ისმოდა ბანაკის მოპირდაპირე მხარეს აღმართული კლდეებიდან ჩაქუჩების კაკუნი და საქმიანი გადაძახილი.

ალპინიადაში ათი ნიშნოსანი და ოცი ახალბედა მონაწილეობდა.

მოსამზადებელი ვარჯიშების შემდეგ უფრო საინტერესო და მღელვარებით სავსე დღეები, მწვერვალებზე იერიში დაიწყო.

ახალბედები შ. ელისაშვილის ხელმძღვანელობით ავიდნენ მწვერვალ ყუროზე (4200 მ). ამავე დღეს თანრიგოსნები და ნიშნოსნები დ. ბაიდაურისა და ზ. სუჯაშვილის ხელმძღვანელობით იყვნენ მწვერვალ გოთუაზე (3800 მ), ხოლო ოთხმა მეორეთანრიგოსანმა გ. დვალის მეთაურობით მწვერვალი რუსთავი (4100 მ) დალაშქრა.

ეს ასვლები საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობას მიეძღვნა.

დიდხანს მხიარულობდნენ ალპინიადის მონაწილენი იმ დღეს ბანაკში. ერთმანეთს ულოცავდნენ წარმატებას, მერე ბანაკის შუაგულში კოცონი დაანთეს და გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა ლექსი და სიმღერა.

თბილისში დაბრუნებულთ მთეებთან დროებით განშორების სევდა გამოჰყვათ, მაგრამ გამოჰყვათ იმედიც ახალ მწვერვალებზე ასვლისა.

**გერდია არაბული.**

ხდის ხეობა,
ყაზბეგის რაიონი.

**ბრძანდება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სპორტსახკომისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ერთობლივი ღონისძიება-შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის ქალაქების უბნებისა და სოფლების ნაკრებ გუნდებს შორის. შაბათს, 27 დეკემბერს, კვლავ ახმიანდება თბილისის სახელმწიფო ცირკის სარბიელი. ამ დღეს არენაზე ერთმანეთს შეხვდებიან ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურისა და ქ. გორის გარეთუბნის, ქარელის რაიონის სოფელ ხვედურეთისა და დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვრის რჩეული ფალავნები.**

შეჯიბრება 12 საათზე დაიწყება.

## მეგობრული სპორტული თამაშები

**როგორც** ცნობილია, კიდევ ერთ კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი ჩვენს რესპუბლიკაში. ეს არის საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასწავლო დაწესებულებების შეჯიბრება, ე. წ. „მეგობრული სპორტული თამაშები". ამ საქმის ინიციატორებად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" და „აზოტის" ფიზკულტურელები და სპორტსმენები მოგვევლინენ. ამ სამ მსხვილ საწარმოს შორის სექტემბერ-ოქტომბერში გამართულ სპორტულ შეჯიბრებას „რუსთავი-86" ეწოდა.

— პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურის და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა მოიწონა რუსთაველთა ინიციატივა და სხვა ორგანიზაციებსაც მოუწოდა მიბაძონ ამ კარგი საქმის თაოსნებს — გვითხრა სპორტსახკომის მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის და მშდ-ს კომპლექსის განყოფილების უფროსმა იროდი ბეზაშვილმა.

შედგა კალენდარი, შემუშავდა დებულება, რომლის მიხედვით სპორტის 10-15 სახეობაში გამართულ შეჯიბრებაში ყველა ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. ვფიქრობთ, ასეთ მეგობრულ შეჯიბრებებს უახლოეს ხანში ჩაატარებენ აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა სამი სპორტკლუბის — „შევარდენის" (გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანება), „გამარჯვების" (ს. კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი") და „კოლხეთის" (ქუთაისის გ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა) სპორტული კოლექტივების შეხვედრები.

## მსტაფეტა მიიღეს „შევარდენმა", „გამარჯვებამ", „კოლხეთმა"...

საინტერესოდ ჩატარდა „შევარდენისა" (სპორტკლუბის თავმჯდომარე მერაბ კვირიკაძე) და „გამარჯვების" (სპორტკლუბის თავმჯდომარე ავთანდილ მელაძე) საამქროს მუშების პაექრობა. დიმიტროველებმა ექვს სახეობაში იმარჯვეს (მინი-ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში, ბაგირის გადაძალვაში), ხოლო კიროველები 5 სახეობაში აღმოჩნდნენ უძლიერესნი (მძლეოსნობაში, კალათბურთში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, ტყვის სროლაში). ქუთაისელებმა თავი გამოიჩინეს ფრენბურთში (გოგონები), კალათბურთსა და ჭიდაობაში. გადაწყდა, ამ საწარმოთა შეხვედრები ტრადიციად იქცეს.



— შეჯიბრებამ გაამართლა დანიშნულება — გვითხრა სპორტკლუბ „შევარდენის" თავმჯდომარის მოადგილემ უჩა შევარდნაძემ — საბოლოო გამარჯვებული არ გამოვლინებულა, ეს არც იყო მთავარი. მთავარი ისაა, რომ კოლექტივებმა, მუშა-მოსამსახურეებმა ერთმანეთი გაიცნეს და აქტიურად დაისვენეს.

**იური გალდავა,**
**სპორტის ოსტატი.**

• • •

**სურათზე: ასპარეზობენ „კოლხეთისა" და „შევარდენის" ფეხბურთელები.**

**უჩა შევარდნაძის ფოტო.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# კიდევ ერთი ნაბიჯი მიზნისკენ

დასასრული

გამოცოცხლდნენ, მაგრამ მასპინძლებმა კვლავ უმატეს ტემპს: ტიუბინმა ზუსტად გამოიყენა ორი საჯარიმო, სანაძემ კი ზედიზედ სამჯერ ჩააგდო ბურთი მეტოქის კალათში (ორჯერ — სამქულიანი ზონიდან) და პირველი ტაიმის მეექვსე წუთის მიწურულს ანგარიში გახდა 19:4.

თბილისელებს მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. მართალია, მეორე ტაიმის დასაწყისში კიეველებმა სხვაობა ანგარიშში თერთმეტ ქულამდე შეამცირეს, მაგრამ ამას კვლავ თბილისელთა აფეთქება მოჰყვა და მატჩის მეორე ნახევრის მე-9 წუთზე „დინამო" უკვე ოცი ქულით (65:45) დაწინაურდა. ამ მომენტში თბილისელთა თამაშში თავი იჩინა ოდნავმა თვითდაჯერებამ, რამაც ყურადღების მოდუნება და გუნდურ თუ ინდივიდუალურ მოქმედებათა ხარისხის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია. ამით ისარგებლეს სტუმრებმა, სამწუთიანი მონაკვეთი მოიგეს (12:3) და ანგარიშში სხვაობა კვლავ თერთმეტ ქულამდე შეამცირეს (57:68), მაგრამ თბილისელებმა მეტოქეს მეტის საშუალება აღარ მისცეს. საბოლოოდ „დინამომ" გაიმარჯვა — 84:72.

თბილისელებმა დამაჯერებლად, შეიძლება ითქვას, მაღალ პროფესიულ დონეზე ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. ტურნირის ამ ეტაპზე ყოველი წარმატება მათ ფინალურ ექვსეულში გასვლის შანსს უზრდის.

ამავე დღეს მოსკოვის „დინამომ" მინსკის რტი-ს სძლია — 98:86 (52:58).

**მეტოქეთა შემადგენლობები:**

**„დინამო" (მოსკოვი) — რტი (მინსკი) 98:86 (58:52).**

**„დინამო": ზიშკოვი (23), სუხარევი (18), ფეხენკო (15), ოხოტნიკოვი (14), სიზოვი (13), ლინდინა (11), კოლიჩევი (4).**

**რტი: ჭელუდოკი (30), პუსტოგვარი (29), იაკუბენკო (9), სატიროვი (6), პარფიანოვიჩი (4), დემკო (4), სლანევსკი (2), ბუზლიაკოვი (2), გრიშჩუკი, კნატკო.**

**მსაჯები: ი. გოლინსკი (კალუგა) და ს. ფომინი (სმოლენსკი).**

**ზურაბ ფოცხვერია.**

**გუშინ** გაიმართა 2 შეხვედრა: „დინამო" (მოსკოვი) — „სტროიტელი" (კიევი) 83:98 (49:43).

„დინამო" (თბილისი) — რტი (მინსკი) 88:86 (46:45).



გარლევეაზეა ალექსეი ოპოშნიანი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# ზუსტი სროლის ფასი

**დონეცკსა და რიგაში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.**

**დონეცკი.** მეშახტეთა ქალაქი დიდი კალათბურთის მოლოდინშია — აქ ორჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ჩვენი საკალათბურთო გრანდები — ცსკა და „ჟალგირისი". მანამდე კი მეტოქეებმა ერთგვარი „მოთელვა" ჩაატარეს. კაუნასელებმა შედარებით მშვიდ ბრძოლაში ალმა-ათის არმიელები პირწმინდად დაჯაბნეს და სატურნირო ცხრილში მორიგი ორი ქულა ჩაიწერეს — 106:78 (56:42). ამ გამარჯვებით „ჟალგირისმა" მეორე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა ლიდერს იგი ჯერ კიდევ მთელი 4 ქულით ჩამორჩება.

ცსკა-ს, ადგილობრივი „შახტიორის" სახით, უფრო ძლიერი და ჭირვეული მეტოქე ჰყავდა. მაყურებლები ამ შეხვედრაში მძაფრ ბრძოლას მოელოდნენ, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. ლიდერმა თავისი საქმეები ფაქტიურად პირველსავე ტაიმში მოაგვარა — 56:42, შესვენების შემდეგ კი უპირატესობა გაზარდა და გამარჯვებაც მოიპოვა — 101:81.

**რიგა.** ეს იყო ჭეშმარიტი საკალათბურთო ნოკაუტი: ვილნიუსის „სტატიბამ" 26 ქულით დაამარცხა კიევის არმიელთა კოლექტივი, რომელიც ამ შეხვედრის წინ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფებოდა. მოულოდნელი ამ მატჩში ბევრი რამ იყო: არმიელთა სუსტი თამაში დაცვაში, უზუსტო სროლები, [illegible] მიზნები [illegible]. ყველაფერმა ამან და კიდევ მეტოქის მონდომებამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. „სტატიბამ" გაიმარჯვა — 97:71 (51:29).

გაცილებით უფრო დაძაბულად და დრამატულად წარიმართა მეორე შეხვედრა, რომელშიც ადგილობრივი ვეფ-ი ლენინგრადის „სპარტაკს" მასპინძლობდა. რიგელები შინ იშვიათად აგებენ ბრძოლას, მაგრამ ამჯერად მათ ვერაფერი მოუხერხეს ნევისპირელთა გამუდმებულ შეტევებს. პირველი ნახევრის შემდეგ ვეფ-ის მდგომარეობა კრიტიკული ჩანდა (39:53), მაგრამ შესვენების შემდეგ ბრძოლა გათანაბრდა. ყველაფერი შეხვედრის მიწურულში გადაწყდა. „სპარტაკს" გამარჯვება ერთადერთმა ზუსტმა სროლამ მოუტანა 102:100.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 16 | 14 | 2 | 1545-1305 | 30 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 16 | 10 | 6 | 1379-1304 | 26 |
| ასკ (კიევი) | 16 | 10 | 6 | 1358-1378 | 26 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 16 | 9 | 7 | 1226-1248 | 25 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 9 | 7 | 1193-1257 | 25 |
| ვეფ (რიგა) | 16 | 8 | 8 | 1468-1477 | 24 |
| „სპარტაკი" (ლენინგრ.) | 16 | 8 | 8 | 1344-1314 | 24 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 16 | 6 | 10 | 1336-1341 | 22 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 6 | 10 | 1389-1430 | 22 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 16 | 6 | 10 | 1318-1420 | 22 |
| რტი (მინსკი) | 16 | 5 | 11 | 1271-1276 | 21 |
| ასკ (ალმა-ათა) | 16 | 5 | 11 | 1310-1397 | 21 |

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

# ლანჩხუთის „გურია"

დასასრული

იყო, როცა „გურია" I ლიგაში შევიდა, ვილნიუსის „ჟალგირისის" გამოცდილმა მწვრთნელმა კი მაშინ ეს დაწერა: „არა მგონია, რომ ახალმა გუნდებმა გამოცოცხლება შეიტანონ პირველ ლიგაში. „გურია" (ლანჩხუთი), „ბუსტონი" (ჯიზაკი), „კოლოსი" (ნიკოპოლი) და სხვანი ახალბედები არიან, პირველი ლიგა მათთვის ოცნებათა ზღვარია, მაგრამ სრულიადაც არ ვარ დარწმუნებული, რომ პირველი ლიგა ასეთ შევსებაზე ოცნებობს".

პირველ წლებში „გურია", მართლაც, დაახლოებით ისე თამაშობდა, როგორც ეს ბ. ზელკიავიჩუსმა იწინასწარმეტყველა: 1980 წელი — XI ადგილი, 1981 წელი — XIV ადგილი, 1982 წელი — XVIII ადგილი...

მაგრამ შემდგომში ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ხელი გამოიღეს და 1983 წელს IX ადგილი დაიკავეს, ხოლო 1984 წელს — X. ეს, თითქოს, ჩვენი პატარა ქალაქის ფეხბურთელთა გუნდის მართლაც ოცნების ზღვარი იყო, მაგრამ 1985 წელს „სასწორმა" ისევ ბ. ზელკიავიჩუსის მხარეს გადაიხარა: „გურია" XVII ადგილზე გავიდა. თითქოს, საქმე იმაზე მიდგა, რომ ამ გუნდს პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე უნდა ეზრუნა, თითქოს ეს იყო მისი პროგრამა-მაქსიმუმი....

მაგრამ, როგორც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, სპორტში, კერძოდ, ფეხბურთში ხშირად ხდება მოულოდნელობანი. ხოლო 1986 წელს მოულოდნელობა კი არ მოხდა, არამედ საოცრება: ლანჩხუთის „გურიამ" უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა!..

არა მარტო ფეხბურთის მოყვარულთა შორის, არამედ ჟურნალისტთა და მიმომხილველთა რიგებშიც აფორიაქდნენ ზოგიერთები: როგორ, ეს პატარა სარაიონო ცენტრის გუნდი უმაღლეს ლიგაში? დაუჯერებელია...

მაგრამ დაუჯერებელი აქ რა შეიძლება იყოს, როცა „გურიამ" წლეულს I ლიგაში I ადგილი დაიკავა (ოქროს მედლები დამატებით მატჩში დათმო) და 1987 წელს იქ უნდა იასპარეზოს, სადაც წელთა და წელთა მანძილზე გამოდიან კიევის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი", თბილისის „დინამო", მოსკოვის „დინამო", მოსკოვის „ტორპედო", ლენინგრადის „ზენიტი" და სხვანი.

ჩვენ გვახსოვს როგორ ყალიბდებოდა ლანჩხუთის „გურია". უნდა გავიხსენოთ ლანჩხუთის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური საქმიანობა, ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი თავმჯდომარის ევგრაფი შევარდნაძის დიდი ამაგი, გუნდის მწვრთნელის შალვა კაკაბაძის დაუღალავი მუშაობა და, აჰა, ყველაფერი ამის შესანიშნავი შედეგი.

ახლა ძნელი სათქმელია და სავარაუდოა რა მოხდება 1987 წელს, შეინარჩუნებს თუ არა „გურია" ადგილს საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში, როგორ გაართმევს თავს გუნდის ხელმძღვანელობა იმ უამრავ პრობლემას, რომლებიც უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდის წინაშეა წამოჭრილი, მაგრამ ფაქტი ფაქტია — ლანჩხუთის გუნდი უმაღლეს ლიგაშია, ეს კი საბჭოთა ფეხბურთის თავისებური რეკორდია.

აქვს თუ არა „გურიის" ამ ფენომენს რამდენადმე მაინც დასაბუთებული კანონზომიერება?

აქვს, რა თქმა უნდა, აქვს!

გადავხედოთ ლანჩხუთელთა გუნდის ძირითად შემადგენლობას: გ. იმნაძე, კ. მჭედლიძე, ლ. მელიქია, ს. შვეცოვი, ბ. დანელია, გ. გილიგაშვილი, ე. თევზაძე, ვ. კოპალეიშვილი, გ. ტყებუჩავა, თ. ჩხაიძე, თ. ებანოიძე, მ. აკოფიანი, ბ. ფრიდონაშვილი, დ. უგრელიძე და სხვანი. სხვადასხვა წლებში გამოდიოდნენ თბილისის „დინამოში", ქუთაისის „ტორპედოში", მოსკოვის „სპარტაკში", ლენინგრადის „ზენიტში", მოსკოვის „დინამოში" და რა გასაკვირია, რომ თავიანთი ოსტატობა მათ ლანჩხუთის „გურიაშიც" ცხადყვეს?! არც ისაა გასაკვირი, მწვრთნელმა ბეგი სიხარულიძემ რომ ამ გამოცდილ, მრავლისმნახველ ფეხბურთელთაგან შეძლო შეთანხმებული, მონოლითური კოლექტივის შექმნა, რომელმაც ესოდენ დიდი სიხარული მოჰგვარა მთელ სპორტულ საქართველოს.

**ბიჭიკო ქორქია.**

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**გფრ**

„შემოდგომის ჩემპიონის" ტიტული მოიპოვა „ჰამბურგმა". მას მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩა მიუნხენის „ბაიერნი". ჩემპიონატის მეორე წრე 21 თებერვალს დაიწყება.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰამბურგერ შპორ." | 17 | 33:17 | 24 |
| „ბაიერნი" | 17 | 31:18 | 24 |
| „ბაიერი" (ლევერ.) | 17 | 32:16 | 22 |

**ჰოლანდია**

მიუხედავად იმისა, რომ პირველობის დამთავრებამდე ჯერ კიდევ 15 ტურია დარჩენილი, აშკარაა, ჩემპიონის ვინაობას „აიაქსისა" და „ეინდჰოვენის" ორთაბრძოლა გამოავლენს. უკანასკნელ 11 შეხვედრაში „აიაქსმა" 11 გამარჯვება მოიპოვა, ხოლო „ეინდჰოვენმა" მხოლოდ 2 ქულა დაკარგა. ჩემპიონატი 22 თებერვალს განახლდება.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 19 | 56:14 | 34 |
| „ეინდჰოვენი" | 19 | 57-12 | 33 |
| „ფეიენოორდი" | 19 | 35:27 | 23 |
| „დენ ბოსხი" | 19 | 26:25 | 22 |

**ავსტრია**

ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგის მიხედვით გამოვლინდა რვა საუკეთესო გუნდი. ისინი განაგრძობენ ბრძოლას მედლებისთვის. ორწრიან ტურნირში, რომელიც 14 მარტს დაიწყება, მონაწილეობას მიიღებენ: „აუსტრია" (ვენა), „რაპიდი", „ტიროლი", „ადმირა ვაკერი", ვოესტ-ი (ლინცი), „ლინცერ ასკ-ი", „ვინერ შპორტკლუბი" და „შტურმი". „ვიენა", რომლის შემადგენლობაში არგენტინელი მარიო კემპესი თამაშობს, მხოლოდ მე-9 ადგილზე გავიდა და პირველ დივიზიონში დასარჩენად მოუწევს ბრძოლა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აუსტრია" | 22 | 57:28 | 33 |
| „რაპიდი" | 22 | 65:31 | 30 |
| „ტიროლი" | 22 | 50:31 | 30 |

**ინგლისი**

მე-20 ტურში ლიდერმა ლონდონის „არსენალმა" დაამარცხა „ლუტონ თაუნი" — 3:0. ბურთები გაიტანეს ქუინმა, ადამსმა და ჰეიეზმა. „ევერტონმა" ასეთივე ანგარიშით მოუგო „უიმბლდონს" (სტივენი, შიდი, ჰითი). საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელმაც გიბსონისა და სტეპლტონის გოლების წყალობით დაამარცხა „ლესტერ სიტი" — 2:0. კვლავ ბოლო ადგილზეა „ჩელსი", რომელიც ამჯერად „ტოტენჰემ ჰოტსპურთან" დამარცხდა — 0:2. ორივე გოლი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ალენმა გაიტანა. „ნოტინგემ ფორესტმა" თავის მოედანზე ქულა დაკარგა „საუთჰემპტონთან" — 0:0, სხვა შეხვედრები ასეთი ანგარიშებით დამთავრდა: „ჩარლტონი" — „ლივერპული" 0:0, „კოვენტრი სიტი" — „მანჩესტერ სიტი" 2:2, „ოქსფორდი" — „ასტონ ვილა" 2:2, „შეფილდ უენსდეი" — „ნიუკასლი" 2:0, „უოტფორდი" — „ნორიჩი" 1:1, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „ქუინზ პარკ რეინჯერსი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი" | 20 | 34:10 | 41 |
| „ნოტინგემი" | 20 | 42:27 | 36 |
| „ლივერპული" | 20 | 39:22 | 35 |
| „ევერტონი" | 20 | 34:19 | 35 |

# ჩემპიონი თავის სტიქიაშია

**როგორც** ვიუწყებოდით, ბრიუსელში მიმდინარე მოჭადრაკე ვარსკვლავთა სუპერტურნირის ბოლოსწინა ტურში გარი კასპაროვმა რევანში აიღო პირველ წრეში ინგლისელ დიდოსტატთან ნაიჯელ შორტთან შეხვედრაში დამარცხებისთვის. მეორე წრეში მსოფლიო ჩემპიონმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, თავისი საყვარელი ლაზიერის გამბიტი გამოიყენა. მან მოხერხებულად უკუაგდო მეტოქის მიერ შემოთავაზებული ახალი გაგრძელება, რომელიც შორტს სწორედ ამ პარტიისთვის ჰქონდა მომზადებელი, და როცა მე-17 სვლაზე ინგლისელმა მოჭადრაკემ ერთადერთი შეცდომა დაუშვა ამ პარტიაში, კასპაროვმა მხედრის ეფექტური შეწირვით დაარღვია შავების პოზიცია. თეთრების ცენტრალური პაიკი მიზანმიმართულად დაიძრა მეშვიდე ჰორიზონტალისკენ და შავი ფიგურები შებოჭა. შემდეგ კი კასპაროვმა მოულოდნელად მიანება e7 პაიკს თავი, რომელიც, ერთი შეხედვით, თეთრების მთავარი კოზირი ჩანდა და პირდაპირ მოწინააღმდეგის მეფეზე მიიტანა იერიში. მან ორი მახვილგონივრული სვლით პრაქტიკულად დაავადლურა მეტოქის ყველა ფიგურა და ლამაზი კომბინაციის განხორციელების შემდეგ თეთრების მუქარის მოგერიება შეუძლებელი გახდა.

გთავაზობთ ამ პარტიას, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა ბრიუსელში.

**გ. კასპაროვი — ნ. შორტი**

**ლაზიერის გამბიტი**

1. d4 e6 2. მf3 მf6 3. c4 d5 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კ:f6 კ:f6 7. e3 0-0 8. ეc1 c6 9. კd3 მd7 10. 0-0 dc 11. კ:c4 e5 12. h3 ed 13. ed მb6 14. კb3 კf5 15. ეe1 კg5 16. ეa1 მd7 17. d5 ეc8 18. მd4 კg6 19. მe6 fe 20. de მფh7 21. ლ:d7 ლb6 22. e7 ეfe8 23. ლg4 ლc5 24. მe4 ლ:e7 25. კc2 ეf8 26. g3 ლd8 27. ეad1 ლa5 28. h4 კe7 29. მc3 კ:c2 30. ე:e7 ეg8 31. ეdd7 კf5 32. ე:g7+ მფh8 33. ლd4. შავები დანებდნენ.

# ახალგაზრდებს ჭიდაობა უნდა შევაყვაროთ

(დასასრული)

— გააჩნია რომელ სახეობას გულისხმობთ. თავისუფალ ჭიდაობაში, მაგალითად, პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა. ჩამოყალიბდა მწვრთნელთა უნარიანი და საქმიანი კოლექტივი. 15 წელი არ გვყავდა სპარტაკიადის ჩემპიონი, წლეულს კი სამმა მოჭიდავემ გამოიჩინა თავი. ასეთი წინსვლა ოპტიმიზმის საბაბს გვაძლევს.

**⊙ უფრო ცუდად რომელ სახეობაში გვაქვს საქმე?**

— ცხადია, სამბოში. ეს სასპარტაკიადო ტურნირმაც ცხადყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მდგომარეობის გამოკეთება შეიძლება. სამბოს, ისევე როგორც ჭიდაობის სხვა სახეობებს, ჩვენში საკმარისი რეზერვი მოეპოვება.

**⊙ ზოგიერთი სპეციალისტის აზრით ძიუდომ „შთანთქა" ჭიდაობის სხვა სახეობები, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მცდარი მოსაზრებაა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება მუშაობა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში. საქმის სწორი ორგანიზაცია, პირიქით, ურთიერთთანამშრომლობის ფართო პერსპექტივებს დაგვისახავს.

**⊙ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სამბომ ძველი პოზიციები დაიბრუნოს?**

— სამბოში, ისევე როგორც ჭიდაობის სხვა სახეობებში, მთავარია სელექცია. დამერწმუნეთ, სწორი ორიენტაციის პირობებში პერსპექტიული მოჭიდავეები შესამჩნევად მომრავლდებიან.

**⊙ მომავალ მუშაობაში ყურადღებას რაზე გაამახვილებთ?**

— პირველ რიგში საჭიროა რესპუბლიკურ შეჯიბრებათა სისტემის სრულყოფა, ყოველი შეჯიბრება, ნებისმიერი რანგის ტურნირი სპორტსმენისთვის ზეიმად უნდა ვაქციოთ. აი, მაშინ ექნება მას ფასი და ავტორიტეტი.

**⊙ ახალგაზრდებთან მუშაობაზე რას გვეტყვით?**

— დამწყებ მოჭიდავეებთან მეტი მონდომებით უნდა ვიმუშაოთ.

**⊙ მაღალი კლასის ოსტატებთან?**

— მათთან მუშაობაში ინდივიდუალური გეგმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, აქ თვითმოქმედება და იმპროვიზაცია დაუშვებელია.

**⊙ ამ თვალსაზრისით როგორ მუშაობენ სპორტსაზოგადოებები და უწყებები?**

— ჩვენი საქმიანობის „აქილევსის ქუსლი" სწორედ ეს უბანი გახლავთ. უმაღლესი ოსტატობის სკოლებში მთელი ძალების კონცენტრაცია გაუმართლებელია. სპორტსაზოგადოებებს სტიმული უნდა დავუტოვოთ, ერთი-ორი ლიდერი, რომელსაც ახალგაზრდობა გაყვება, ყველა საზოგადოებას უნდა ჰყავდეს.

**⊙ მუშაობის პროცესში ალბათ სხვა პრობლემებიც იჩენს თავს?**

— რა თქმა უნდა. უნდა გადაისინჯოს, მაგალითად, საყრდენი პუნქტების დისლოკაციის საკითხი, მწვრთნელთა მუშაობის შეფასების არსებული პრაქტიკა, ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციაზეც უნდა ვიზრუნოთ, თუმცა ამ მიმართებით უკვე ბევრი რამ გაკეთდა. ერთი სიტყვით ახალგაზრდობას ჭიდაობა უნდა შევაყვაროთ. ეს თუ მოვახერხეთ, ტალანტებიც გაჩნდებიან...

## +1

თბილისის სპორტის სასახლის ტერიტორიაზე, იქ, სადაც სამაცივრო დანადგარებია, გაიხსნა „გამაჯანსაღებელი ზონა". აქ არის ჩოგბურთის კორტი, კალათბურთისა და ბადმინტონის მოედნები, დაიდგა თანამედროვე სატრენაჟორო იარაღები, მოეწყო რეზინის საფარიანი სარბენი ბილიკები. აქვეა გასახდელები და საშხაპეები.



„შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

# თოთხმეტი მედალი

**ხუთ-ხუთი** ოქროსა და ვერცხლის, ოთხი ბრინჯაოს მედალი — აი, საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მიერ „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა შორის გამართულ პირველობაზე მოპოვებული ნადავლი. ამ შეჯიბრებაში, რომელიც ლენინგრადში მოეწყო, საქართველოს წარგზავნილთაგან გაიმარჯვეს: თბილისელებმა — გოჩა მაკოევმა (56 კგ), ბადრი ძუკაშვილმა (65), მერაბ ვალიევმა (97), ყვარელელმა გია ივანიშვილმა (70) და გაგრელმა კახა ფარულავამ (87); მეორე ადგილებზე გავიდნენ თბილისელები გია სისაური (45), მურმან ხითაძე (61), ლაშა ქავთარაძე (87), გია ჯანელიძე (+97) და კახა ჯაბიძე (75), მესამეზე — ლესელიძელი ნუგზარ გოლეთიანი (65), დიღომელი მერაბ ქობალაშვილი (70), თბილისელი დათო ხაბელაშვილი (75) და სურამელი მევლუდ ჯანაშვილი (87).

ყველა პრიზიორი შეყვანილია „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც ახლა რიგაში ემზადება საკავშირო პირველობისთვის. ეს შეჯიბრება მომავალი წლის დასაწყისში კალინინგრადში გაიმართება.

**ნანა ბერიშვილი.**



# ნიჟნი ტაგილის ტრამპლინებზე

**სსრ კავშირის** თასის გათამაშების II ტური ნიჟნი ტაგილის ტრამპლინებზე გაიმართა.

მხტომელებმა ჯერ 70-მეტრიან ტრამპლინზე იასპარეზეს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან უკეთესი შედეგი წაღვერელ დინამოელს ელგუჯა ორჯონიკიძეს ჰქონდა. იგი 77,5 და 83 მეტრზე გადახტა, 190,6 ქულა მიიღო და მე-11 ადგილზე გავიდა. კახა წაქაძე ამჯერად მე-17 იყო — 183,8 ქულა (ნახტომები 77,5 და 75 მეტრზე), იბრაჰიმ გობოზოვი კი ოცდამეთორმეტე — 170 ქულა (77 და 72,5). გიორგი დიაკონაშვილმა საკონტროლო ხტომები კარგად ვერ შეასრულა და ჩასათვლელ სერიებში არ დაუშვეს.

მეორე დღეს 90-მეტრიან ტრამპლინზე ჩვენი მხტომელებიდან ყველაზე კარგად ე. ორჯონიკიძე გამოვიდა, იგი მე-15 იყო.

თასის გათამაშების დასკვნითი, III ტური 26-28 დეკემბერს გორკში გაიმართება.

**„ლელოს" კორ. ტელეფონით.**

## ელვა-ინფორმაცია

**ბრიუსელში** დამთავრებულ ექვსი დიდოსტატის სუპერტურნირის ბოლო ტურში გარი კასპაროვი დაუზავდა პორტიშს და 10 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა. შემდეგი ადგილები ასე განაწილდა: ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 5,5, ჯონათან ნანი (ინგლისი), რობერტ ჰიუბნერი (გფრ) — 5-5, ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 4, ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — 3.

**საკდესის** სპორტული ინფორმაციის რედაქციის ტრადიციული გამოკითხვით, რომელშიც მსოფლიოს 43 საინფორმაციო ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, 1986 წლის საუკეთესო სპორტსმენებად აღიარეს ფეხბურთელი დიეგო მარადონა, მძლეოსანი სერგეი ბუბკა, მოჭადრაკე გარი კასპაროვი და მძლეოსანი ჰაიკე დრექსლერი.

## კალეიდოსკოპი

### კუბასა და მთელს მსოფლიოში საუკეთესო

შარშანდელი სპორტული სეზონი რაულ კასკარეტისთვის მართლაც იღბლიანი იყო. კუბელი მოჭიდავეებიდან პირველმა მან მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი. ამავე დროს იგი, სწორედ შარშან, პირველად გახდა კუბის № 1 სპორტსმენი.

წლევანდელი სეზონი ნიჭიერი მოჭიდავისთვის მეტად საპასუხისმგებლო იყო. მას უნდა დაემტკიცებინა, რომ წინა მსოფლიო ჩემპიონატში შემთხვევით არ გაუმარჯვნია. კასკარეტმა ბრწყინვალედ ჩაატარა ტურნირი ბუდაპეშტში და მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

ჭიდაობა თორმეტი წლისამ დაიწყო ერთ-ერთ სპორტულ სკოლაში. მაშინ 48 კილოგრამს იწონიდა, მაგრამ იმდენად მუყაითი იყო, რომ ერთი წლის შემდეგ თანატოლთა შორის კუბის ჩემპიონი გახდა. ახლა იგი 74 კგ წონაში გამოდის. სპეციალისტთა აზრით, რაულ კასკარეტს უმაღლეს ტიტულს დიდხანს ვერავინ წაართმევს.

### სიფრთხილის ზომები

გფრ-ში დაიწყო ფეხბურთელთა 1988 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის სამზადისი. მზადების ამ ეტაპზე მთავარი ყურადღება სტადიონებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფას ექცევა. საქმე ის გახლავთ, რომ „საფეხბურთო ვანდალიზმის" ტალღამ რეინის ნაპირებსაც მიაღწია.

რეინ-ვესტფალიის მიწის საქალაქო მშენებლობის მინისტრის ამასწინანდელი მითითება მიმართულია იქით, რომ არ განმეორდეს ბრედფორდისა (ინგლისი) და ბრიუსელის (ბელგია) კატასტროფა. მინისტრის დირექტივები პირველ ყოვლისა მაყურებლებისა და ჩამოსული სტუმრების სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვას ითვალისწინებს.

რა სიახლეები იქნება შემოღებული სტადიონებზე? დასადგომი ადგილები დაიყოფა ბლოკებად, რომლებშიც 2 ათასზე მეტი მაყურებელი ვერ გაჩერდება. ეს ბლოკები და სექტორები დანომრილი ადგილებით მკაცრად იქნება იზოლირებული ერთმანეთისგან. ტრიბუნებსა და სათამაშო მინდორს შორის ორმეტრიანი რკინის ღობეები აღიმართება. ფართო გასასვლელები სხვადასხვა ფერის საღებავით შეიღებება, რათა მაყურებლები არ დაიბნენ და საჭიროების შემთხვევაში სწრაფად გავიდნენ სტადიონიდან. სტადიონი გაიწმინდება სამშენებლო ნაგვისა და სხვა ზედმეტი საგნებისგან. ტრიბუნებზე შესვლის წინ მაყურებლებს ჩამოერთმევათ ყველა საეჭვო ნივთი. კატეგორიულად აიკრძალება სტადიონზე ალკოჰოლიანი სასმისების შემოტანა. მთვრალ ან შეზარხოშებულ მაყურებლებს სტადიონის ტერიტორიაზე არ შეუშვებენ.

### კრივის „დაბრუნება"

27 წლის წინ კრივი ჩინეთში სპორტის აკრძალულ სახეობად გამოცხადდა. ამ პერიოდში აქ არც ერთი შეჯიბრება, არც ერთი შეხვედრა არ გამართულა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა — რინგი კვლავ ახმაურდა.

კრივის აღორძინება შანხაიში დიდი ეროვნული ტურნირით დაიწყო, შეჯიბრებაზე საპატიო სტუმრებად 30-იანი წლების ყველა გამოჩენილი მოკრივე მოიწვიეს.

ჩინეთის ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, 54 წლის ბან შუსინმა განაცხადა, რომ ნორჩი თაობა ხალისითა და იმედებით აღსავსე მოდის რინგზე, გულმოდგინედ მეცადინეობს და მზად არის ნებისმიერ ტურნირებში დაიცვას თავისი ორგანიზაციის, ქალაქის ღირსება. ახალგაზრდობის ენთუზიაზმი მეც გადამედო, — განაცხადა ბან შუსინმა. ასეთმა ერსულოვნებამ არ შეიძლება უშედეგოდ ჩაიაროს.

### კუბერტენის პრინციპების საწინააღმდეგოდ

მიუხედავად იმისა, რომ სპორტის სპეციალისტთა ერთი ნაწილი გფრ-ში მხარს უჭერს „ღია ოლიმპიურ თამაშებს", უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვა. მათი აზრით, შეუძლებელია „ყველა საუკეთესო სპორტსმენმა" ოლიმპიური ალამის ქვეშ გაერთიანება მოახერხოს. ამაში მათ ხელს, პირველ რიგში, კაბალური კონტრაქტები შეუშლის. მართლაც, სად არის იმის გარანტია, რომ ფირმა, რომელიც სპორტსმენს „აფინანსებს" დანიშნულ დროს გაუშვებს მას საასპარეზოდ? მაგალითისთვის ასახელებენ ბორის ბეკერს, რომლის გამოსვლებს ჩოგბურთის მოედანზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კი არ ხელმძღვანელობს, არამედ გფრ-ის ცენტრალური ბანკი.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი პიერ დე კუბერტენი ამბობდა: მთავარია მონაწილეობაო... მას კრინტი არ დაუძრავს სარეკლამო კონტრაქტებზე.

### ახალი სისტემა

შოტლანდიელმა ინჟინერმა რიჩარდ მაკშეინმა ფეხბურთის მატჩებზე უსაფრთხოების ახალი სისტემა შექმნა. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის აზრით, მაკშეინის იდეის განხორციელება თავიდან აგვაცილებს ბრიუსელისა და სხვა ქალაქების ტრაგედიებს.

მაკშეინს ფეხბურთის მინდორსა და ტრიბუნებს შორის, მთელი სტადიონის გაყოლებით, გაჰყავს წყლის არხი, რომელიც გამხეცებულ მაყურებელს მინდორზე გადასვლის საშუალებას არ მისცემს, წყალი გამოდგება ხანძრის ჩასაქრობადაც, სწორედ უწყლობა იყო ბრედფორდის სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის მიზეზი — აცხადებს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

ამჟამად მაკშეინი არხის გაყვანის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს „გლაზგო რეინჯერსის" სტადიონის ადმინისტრაციასთან.

კალეიდოსკოპი

**27 დეკემბერს, 16 საათზე,** ჭადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში (ლენინის ქუჩა, 37. კიროვის პარკი) შედგება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. მ. ლორთქიფანიძე თემაზე: „ქართული კულტურის ისტორიის საკითხები". მსოფლიოს ექსჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, საერთაშორისო დიდოსტატი ნ. ალექსანდრია და ე. ახმილოვსკაია თემაზე: „მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ფორუმი დიუბაიში (საჭადრაკო ოლიმპიადის და ფიდე-ს კონგრესის შედეგები)".

**28 დეკემბერს 11 საათზე** სემინარულ მეცადინეობას ჩაატარებენ: დახელოვნების ფაკულტეტზე — ოსტატი დ. ჯანოევი, ინსტრუქტორ-მწვრთნელთა ფაკულტეტზე — ოსტატი თ. კიკიანი, დოც. შ. თხელიძე და რესპ. დამსახურებული მწვრთნელი შ. ინწკირველი; ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა ფაკულტეტზე — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ო. ალხანიშვილი და საერთაშორისო არბიტრი ე. მელიქსედ-ბეგი.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო":

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07790